

ვასტანგ ჭანეოტამა



სითბო
ჩამავან და ჩამავან

ავტორი მადლობას უხდის ღირსეულ გორელს, ნუგზარ ხო-
ჯევანიშვილს, წიგნის გამოცემაში აღმოჩენილი მხარდაჭერისათვის.
წიგნის ავტორი ყველა მას თვლის თანაავტორად, ვინც კი
მიუძღვნა ლექსი.

რედაქტორი: აპაპი ბიბინაშვილი

ავტორის ფოტო: მამუკა ეგნატაშვილისა

წინასიტყვაობის ნაცვლად

საინტერესო და მნიშვნელოვანი ტრადიციაა დამკვიდრებული ქართველი (და არამარტო ქართველი) მწერლებს შორის. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ მწერლები, განსაკუთრებით კი პოეტები, ერთმანეთს უძღვნიან სამახსოვრო წერილებს, ცალკეულ გამონათქვამებს თუ ლექსებს. ვფიქრობ რომ ყველაზე უფრო მეტად გავრცელებულია მიძღვნილი ლექსები, რომლებიც ძალიან ხშირად არის სატირულ-იუმორისტული ხასიათის, თუმცა, არცთუიშვიათად, გვხვდება სერიოზული, კლასიკური სტილით დაწერილი მიძღვნილი ლექსიც.

როგორც წესი, მიძღვნილი ლექსები იწერება ამათუიმ პიროვნებისათვის საზეიმო თუ საიუბილეო თარიღებთან ან ცხოვრებაში მომზდარ, მეტნაკლებად მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით და ასეთ ლექსებში (რომელთა უმრავლესობა იწერება ექსპრომტად) ავტორები ცდილობენ ხაზი გაუსვან ადრესატის ხასიათის რამე ნიშან-თვისებას, გარეგნული იერის მომხიბვლელობას, აკვიატებულ სიტყვებს ან მელოდიას, სპორტისა თუ ხელოვნებისადმი დამოკიდებულებას, მნიშვნელოვან წარმატებას პროფესიული, ან საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროში, ეროვნული ტრადიციებისადმი დამოკიდებულებას, მეგობრებთან და ოჯახთან ურთიერთობის ნიუანსებს და ა.შ.

ამავდროულად ვფიქრობ, რომ ასეთი კატეგორიის ლექსებს მკითხველი მაინცდამაინც არ უყენებს მკაცრ მოთხოვნებს, მიაჩ-

ნია რა, რომ მეტნაკლებად დასაშვებია უმნიშვნელო გადახრები ლექსისათვის დამახასიათებელი კლასიკური ფორმიდან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი სახის მიძღვნილი ლექსები, უმეტეს შემთხვევაში, სატირულ-იუმორისტული უღერადობისაა, ადრესატში იწვევს სასიამოვნო განცდებს და ამკვიდრებს ამაღლებულ განწყობილებას მსმენელთა შორის.

უამრავი ლექსი მაქვს მიძღვნილი ჩემი მეგობრების, მეზობლების, ოჯახის წევრების, კოლეგების, ახლონათესავების თუ ბავშვებისადმი. არც მე დავრჩენილვარ უყურადღებოდ და სხვადასხვა ავტორმა ჩემდამი გულთბილი დამოკიდებულების გამოხატვის მიზნით, მიძღვნა ლექსი.

წინამდებარე პატარა წიგნით მკითხველს ვთავაზობ მოძღვნილ-მიძღვნილი ლექსების მცირე ნაწილს.

იმედია, მკითხველი არ დარჩება გულგრილი, წაიკითხავს შეთავაზებულს და მცირე წნით მაინც გაემიჯნება ყოველდღიური საზრუნავით გადატვირთულ ყოფას.

ავტორი

Բ Ե Ց Յ Ե Կ

**ჯუბრ
ალავერდაშვილი**

ჩემ ვახტანგს!



ნაღდი კახელი ვაჟაყაცი, ბედად გორს გადმოხვეწილი,
განათლებული, გულდიდი, მოლექსე, რითმდახვეწილი;
მღერი, აუდერებ გიტარას - გინდ იყოს სიმგაწყვეტილი,
შრომის და მოლხინებისთვის ჯერ არ დაგესვას წერტილი!

ვითომ დაბერდი? ვიშვიშებ, ხან ცოტა გულდაწყვეტილი,
მაგრამ სიკეთის კეთება მტკიცედ გაქვს გადაწყვეტილი,
ლექსიც გიყვარს და მოლხენაც, მაგრამ გიჭირს და გეტირის,
უფულოს კარი რესტორნის გაქვს თითქმის გამოკეტილი.

არა და ნაღდად გიხდება ქეითი თავაწყვეტილი,
არც დიაცნ მოგყირჭებია - წამწამ-მკერდგადაპენტილი,
გეფერებიან - იციან ხარ ნიშატდაუშრეტელი,
გაფრთხილდი - ტყვილად არ დაშვრე, არ გაუცინო მჭვრეტყლი!

ყოჩაღად იყავ, არ შედრებ, დაჰკა, ანგრიე კედელი,
სალად აზროვნებ, ბრძნულად ბჭობ, კვლავ გიჭრის
ხმალ-საჭრეთელი,
ახლობელთ გვერდში უდექი, მტერთა მხარ-იღლივ მკვეთელი,
დაბადების დღეს გილოცავ, დარჩი სიკეთის მჭედელი!

2005 წ.

აკაპი ბიძინაშვილი

* * *

უნდა მიგაჩნდეს ცა ქუდად,
გრგებია მგოსნის ბელი,
„დიდმა პოეტმა“ გაგქურდა,
მითხარ, რა გინდა მეტი.

2005 წ.



ვახტანგს!

შენ მოგანიჭებ ღირსებას სამასს,
დიდი კრძალვით და რიდით,
ხარ ღირსეული გენერლის მამა,
თუმცა, მუდამ ხარ შმვიდი.

მამულზე სევდას ვერა სცილდები,
დგახარ მის გვერდით მუდამ,
შენ გაქვს სიკეთე გულში იმდენი,
ღმერთს დაუბრუნებ ზურდას.

მგოსნის ღირსებას შენსას ვინ შეცვლის?!
ხარ, ხშირად მისი მწყემსი,
ვართ შენ ოჯახში „კახურის“ ეშნით,
ჭიქა ივსება ლექსით.

სამოცდაათი წელი გწვევია,
პირნათელი ხარ ხალხთან,
რაც სამშობლოზე დაგიწერია,
ღმერთმა გისმინოს, ვახტანგ!

იცი სიცოცხლის ხერხიც, ფინტებიც...
გინახავს ზეცის კიდე,
რაც გაგივლია – ორჯერ იმდენი,
გასავლელი გაქვს კიდევ!

2003 წ.

გარენტი გოგიძეშვილი

ქადაგი



შენზე არ ითქმის — გორელი არ ხარ,
დაგაბრალებენ ვერც ზესიძობას,
დღეს გორელების შვილიც ხარ, ძმაც ხარ,
და ერთგულების გთქვამს პირობაც.

მეცნიერიც ხარ და მომღერალიც,
ავტორიც ბევრი გამოგონების,
სუფრის თამაღაც, კარგი პოეტიც,
ცხოვრებას მართავ საღი გონებით.

ლექსების წერა ყოფილა თურმე,
დიდების სფერო (პენსიის შემდეგ),
ლაღად ნაგარდობ რითმის გამებში —
კაცურკაცობით შიდა ქართლს ენდე.

გორში იპოვე ტაძარი მუზის,
ნაღვაწის ნაყოფს აქვე ღებულობ,
კაცობის გზაზე მაგრად წნავ ბილიქს —
მეგობრებისთვის თავდადებულო.

სიბილწეს ვერვინ შეამჩნევს შენ ლექსის,
სიკეთე ძლერის სტროფების კვალში,
პოეზიაში ჭიხვინებ ისე,
როგორც დოლის წინ ქურანი რაში.

ცივ-გომბორიდან ნიავი გქოჩრავს,
ცხადშიც და მიღმიც წინ გიდგას ყრმობა,
ალაზნის ველის სურნელით გაზრდილს,
გორში შეგფიცეს ურყევი მმობა.

გორის ციხიდან გაჰყურებ თელავს,
ლექის წმალიგით ალესილია,
შენი რითმების წყობა და ფეთქვა
ასე მკაფიო, ასე თბილია.

გეძახის შენი კუნტული-კუთხე,
ცდილობ გადასცდე უხილავ მესერს,
მაგრამ გორული კრა გაფერხებს,
თუმცა კახეთზეც ბევრსა წერ ლექსებს.

სიმართლისათვის კისერს სდებ კუნძხე,
გენერლის მამავ, ოჯახის ბურჯო,
შუა ქუჩაშიც გივლია ბევრჯერ,
და გორელობას არავის უთმობ.

შუბლზე სიკეთით მირონცხებულო,
სიმართლეს იცავ და გძულს მსტოვრები,
ჩვენ, მეგობრები კვლავაც ვამაყობთ,
შენი განვლილი გზით და ცხოვრებით.

აქ დავაუკაცდი, აქვე დაღვინდი,
მიუკაკუნე სამოცდათხუთმეტს,
ბევრი გინახავს სინელეც, ავიც,
არ კადრულობდი არასდროს უთქმელს.

გთხოვ მომიტევო, თუ კი რითმები,
შენებრ არ მიჭრის და ვერ მოვმართე,
დაგესესხები და ლექსს უკეთესს,
ოთხმოცი წლისას, გულით მოგართმევ.

ზოგჯერ შევხდებით ცრუსა და ფლიდებს...
არ დავანგრიოთ წისქვილი მმობის,
მსურს ჩემ მარანში სუფრასა ვშლიდე
და ხშირად მეთქვას, ვახტანგი მოდის.

ვაშა დაღიანიძე



ჩემო ვახ უშტი

(პურმარილზე,
ექსპრომტად)

ვახუშტი, ბიჭო ვახუშტი,
სუფრასთან რატომ გაფუჭდი?!
„განსხვავებული“ მოგართვეს,
მცდელობა გქონდა კვლავ ფუჭი.

ვახუშტი, ბიჭო ვახუშტი,
თვალების ნაბვით გაყუჩდი,
ვეღარ შეები „ალავერდს“,
ჩამოგივარდა ყბა-ტუჩი.

1964 წ.

ჯემალ ინჯია

თამადა

(ვახტანგ ჭანკოტაძეს)

მწამდა, გორს ამაგს დაუფასებდი,
როდესაც კალამს დაუშორნავდი...
არ გაშინებდა „დაუ“ მონარდის
და იმარჯვებდი დაუბასეთი.

პენსიონერის ჯიბეებისთვის,
ზეაიწყა ცხოვრების ფასმა,
შენ კი ლირიკის მწვერვალზე ასკლას
კიბური რითმის კიბეებით სცდი.

ჩვენს თეატრალურ ნადიმზე ხშირად,
გიყვარს თამადის როლის მორგება
ეგ შემართება, ეგ აბორგება
შენში მოსწონდა ქალბატონ ირას.

როცა კუსხედვართ ლხინის მაგიდას
ერთ უცილობელ ფიქრად ის მომდევს,
რომ მსურს ძალიან დიდხანს ისმოდეს
„დიდება უფალს“ შენი ბაგიდან.

2008 წ.



* * *

შეხვდეთ ამ ჩვენ ვახტანგის,
თვალებს რა ნაზად ახელსო.

1993 წ.

გივი პაპაბაძე


მიღი „ტიპჩორ“¹

(გამოსაშევებ საღამოზე)

ტრიბუნიდან დოროხოვი² გიყვირის:
 „მიდი, ტიპჩორ, ჩააცოდე ბურტი,
 სცრაპი ხარ და ტეხნიკაც არ გაკლია,
 შენ გენდობა სპორტშეოლელტა გუნდი.

მიდი, მიდი, შემოგაურებს ტელავი,
 ოქროს მედალს მოუმატე გოლიც,
 შეუტიე, რომ მეტოკე გაპუჩიდეს,
 და სიმცრისგან ასდიოდეს ბოლი“.

1951 წ.



-
1. წიგნის ავტორის ბავშვობის თიკუნი
 2. დოროხოვი – თბილისის დინამოს ლეგენდარული მეკარე, ავა-რჯიშებდა თელავის თითქმის ყველა ფეხბურთელთა გუნდს. თბილისელი რუსი, საუბრობდა დამახასიათებელი აქცენტით.

მერი გარლუკიშვილი

მინდოდა, შენთვის მეთქვა რაიმე

(ვ. ჭანკოტაძეს)

ხანდახან ისე გიხდება
თამადობა და ანცობა,
რაც შენში მომწონს ძალიან,
არის კაცური კაცობა.
გოტარას აახმიანებ,
ბულბულს შემოსვამ ჭიქაზე,
მრავალჯამიერ იხარე
ზოგიერთების ჯინაზე.
მტერიო – გითხარ, გეხუმრე,
გულში უზიხარ ყველასა,
იმუშავე და იღვაწე,
დიდხანს ნუ მოშლი მღერასა.



2008 წ.

იოსებ პრისელი

(საერთაშორისო

დიდოსტატი ჭადრაკში)

* * *

იკვლევ, აჯამებ უცნობ შედეგებს,
ღმერთმა გარგუნა ოქროს მისია,
ტვინს ნუ იჭყლეტავ, არ გამოვივა,
შენ საჭადრაკო კომპოზიცია.

1966 წ.



სოფია ექვანაბიშვილი

ვახტანგ!

სამოცდათხუთმეტი
 წელში გადატეხე,
 ბოროტის მცდელობა
 უბრალოდ გაცუდდა,
 ადიდე კეთილი,
 დიდ რწმენას მიენდე
 და რაც მთავარია —
 იცხოვრე კაცურად.



შენგან ლამაზ რითმებს
 მულმივად მოველით,
 ჯერ ხომ კალმის წვერი
 არ დაგუანგებია,
 რაც თესე, რაც ზარდე,
 რაც შექმენ — ყოველი,
 ღმერთთან მისასვლელი
 გზის გასაღებია.

2008 წ.

* * *

ნუ გეგონებათ, ქვეყნისთვის,
 რომ შეასრულეთ მისია,
 თქვენთვის სამოცდათხუთმეტი
 ცხოვრების დასაწყისია.

ბეგლარ ცოგაძე

პოეტის ბედი

სიკეთე არასდროს გვიანია,
ილოცება მამაზუციერი,
ცხადია ვახტანგი ჭკვიანია –
ჯერ პოეტი – მერე მეცნიერი!

ვერ იტყვი ყველა დღე მზიანია,
ყველა შეფიცული – მეგობარი.
ასეა, ვახტანგი ჭკვიანია,
შემოჰკარით ნადიმის დედოზარი!



ნაღდი კახელია, მედგარია,
მაგრამ უფრო შუა გორელია,
პოეტი, პოეტად შემდგარია,
ახლა კიბურ რითმებს მოერია.

შვილებმა მამა რომ გადაჩრდილეს,
ჯიშის და ჯილაგის გენებია.
სამოცდათხუთმეტი თუა მძიმე,
უამი მაინც ლურჯა ცხენებია!

სადაც იყო ბედი შენი ძამა,
იქ მიხვდი ანთებული მეტრდით,
დაგილოცავ სიტყვის ნაწროობ ყამას,
დღეს გვჭირდება კაცი შემოქმედი!

2008 წ.

ეთერ სადაღაშვილი

* * *

(ვახტანგ ჭანკოტაძეს)



თელავურია ეს მტევანი, ქართული ვაზის,
შეხედავ ერთს და ზედ ატყვია ღონე და ჯიში,
ბევრი იარა, არა ჰქონდა ხშირადაც თასი,
გაღმოატარა სიყვარულმა გომბორის ცივიც.

ქართლად მოსულმა, თელავურმა, დაუღვინარმა,
დაღვინება და დაკაცება აქ შეძლო, ბედთან,
შეწარდა და შეიტყბილა ჭურჭელი თვისი,
თუმცა შუშენით, ვაჟკაცურად, ბევრჯერ იფეთქა:

სან მტერთან ბრძოლად,
სან მოყვრულად,
სან სიყვარულში,
სანაც უბრალოდ, ქალის ეშნით
გადაქაფფითორდა...

სან საღლეგრძელოდ შეისვა და...
წვეთიც დაღვარა...
ბაიათებით აამლერა ბუკინალარა,

ხანაც შუშუნა შამპანურად,
დელიკატურად,
ქართველი ქალის სადიდებლად სიტყვა დაღვარა...

ასე ყლუპ-ყლუპად,
ნება-ნება...
ხანაც ყანწებით...
კახურმა გენმა, სისხლმა ვაზის,
წლებით იარა...

თელავურია, იქ მოსულა,
აქ ჩამოსულა,
იქ შემრეშილა,
გზად მწიფობდა,
აქ დაწურულა.

მაშ გაუმარჯოს, სადიდებლად საქართველოის,
იმ ქართულ ღვინოს, რომ აგავსებს
და აგაძლერებს!!!

შერგილ სუხიტაშვილი



მზის მაღლი

ეპარება ღრუბლებს ცურვით
ბნელი, როგორც ყაჩაღებს,
კახურ ღვინით იკლავ წყურვილს
და ლექსის ცეცხლს აჩაღებ.

თამადად გყავს რითმის მუზა,
ქრება სულის წვალება,
მეტაფორებს, აზრით მქუხარს,
ისვრი ცეცხლის ალებად.

ლოცვის მადლი, - მზით გწვავს დილით,
ღამე ფიქრად ინთები,
ლექსის ნადიმს, შვლის მწვადივით
შეუსიე რითმები.

მეგობრობის ნაღდი ზარ მზე,
მაშინ ანდობ ქარს სახეს,
ბავშვობა რომ ნადიკვარზე
ხელებს დაიკარწახებს.
გაპქრა ჟამი იმ ქონების,
ანცი მზერა ჩიტების,
ხოხბისყელა სტრიქონების
თეთრი სერაფიტები.

ოქროს სხივებს ლამობ დილით,
სიჭარუებე გაშლის ხელს,
ალაზანზე წამოზრდილი
ლურჯოვალება ვაშლის ხე.
შენი ნიჭის გამოცდაა,
მიუმღერა წყალმა ხევს
და გიგზავნის სამოცდათ
მზით დაწინწკლულ კალმახებს.

არ აჭამო ჯავრი სახეს
სევდიანი განცდები,
კიდევ ბევრჯერ ვნახავთ კახეთს,
ვიჯირითებთ ყანწებით.

· · · ·

დაგილოცავს სამკალს, ახოს
მთების ლურჯი ღაწვები
და ლექსტეზე საკალმახოდ
რითმის ჩქერში ჩაწვები.
ეპარება ღრუბლებს ცურვით
ბნელი-მთვარის უღელი,
კახურ ღვინით იკლავ წყურვილს
და სიცოცხლეს უძღვი.

ქართველი

წმინდა მზით ვკვებე ირმის ბლავილი,
ლორთქო ბალახით მიფერავს მკერდი,
ჩითის პერანგზე შლილი ყვავილით
მე წინაპრების სიმღერას ვწერდი.

მტრებს ჩამოვამხე ნისლი და მწუხრი
და გავირეცე მწარე ავდრისკენ;
მე, გორგასალის ვეება მუხლით
მათი იმედის მთვარე გავდრიცე.

მზით გამოვზარდე დიდი ნუგეში,
ლომის ტორებთან მივედი ლხენით.
როგორც ბარტყები - ჩიტის ბუდეში,
ყელს იღერებდა იმედის ცხენი.

რწმენას შების მზით ვუნთებდი სანთელს,
დარდი სატანის ლამის ფერია,
ხმალია ჩემი ერთგული მნათე,
არ მიტაცებდა ბრძა მისტერია.

ვეფხვით მღეროდა „ჰკა, მაგას!“ სხივი,
უამი ძერწავდა ცრემლით შავ ქედებს,
მაშინ თამარის ლოცვების ტკივილს
დიდგორის ბრძოლის შუქით გავხედე.

ბევრგან წავგვარე ჩვენს მტერს ნახირი,
ფარზე მეწერა ლოცვა ღარიბთა.
შურისძიების ლომის ძახილით,
დღე დაგუმოკლე მრავალ ქარიბდას.

მიჭირდა, თავი მომქონდა მდიდრად,
ურმულს კუმღერდი მაინც ხარს ქარში,
და წავაჭერი შსამთავი პილრას,
არ ვანებივრე ზმალი ქარქაშით.

გულში ავინთე მზე ხელუხლები,
არ შევატოვე ცა შავ ღამურებს,
რწმენის სხივს სვამდნენ მძლე ხე-მუხები –
საარწივე და სასალამურე!

მტერს შავი ღრუბლის ასდის ბლავილი,
ვეფხვის ბალადით მიღელავს მკერდი
შოთას პოემით გაზრდილ ყვავილის, –
მე, – საქართველოს სიმღერას ვწერდი.

2005 წ.

შეს გედრა ღიმილთან

გულს სიხარული მიფერავს,
ცვარში გაბანილს გავლევ სერს,
ლურჯი სიცოცხლის სიმღერა,
ლოცვის მზის შუქზე ავლესე.
სითბო მოგპარე მოგარესა,
ვწმენდავ სიბნელის შავ ღარებს,
და სიყვარულის ალერსად,
შენ შავ თვალებში ჩავღვარე.

გვირილის სუნთქვით ვაპურებ,
„იას მოვტაცე სინაზე“,
სტრიქონს დავკიდე საყურედ
და მუხლადრითმად ფრინავს ზედ.

ლურჯ მთებს ვესესხე ფერი და
ამღერდნენ ველთა ყანები,
სავსეს შვლის ნუკრის მზერითა
შენს ღიმილს ვეთაყვანები.

ოქროს იმედის აფრით მდევს
და სიხარულით ვერ ვცხრები,
მზიური შუქით აფრინდნენ
შენი თვალების მერცხლები.

შუქი ასხურე ღამის მთებს,
ერთგულ რაშივით გენდო მზე,
რწმენის სანთლები ამინთე
ჩემი ოცნების ერდოზე.

გულს სიხარული მითერავს,
გავლევ ცვარ-ნამში ნავლებ სერს,
ლურჯი სიცოცხლის სიმღერა
მზიანი ლოცვით ავლესე.

2008 წ.

გზიარი ნისლი

პაპის დარგული შრიალებს მუხა,
გულის ტკივილი ხარშე ხველებით,
სიცოცხლის ლექსი შეუნთე ბუხარს
აეს არ მიუცი ქარს შენ ხელები.

გიხმობს ჭაღარის უძლები ორბი,
ლურჯ ბილიკებზე ნამის გაშრობა,
გადატყაული მუხლებით მორბის
კავთის* ეზოში შენი ბავშვობა.

დროს ლომურ მზერით აუგსე ტყავი,
დარდი მიაბი მოხრილ ტივს ქიმზე,
ლურჯი ტყე სევდით დაუსეტყვავი,
შებრუნებული ჭოგრიტით გიმზერს.

ამოწვერილა ხვართქლა და ბალბა,
ფრთასა შლის სიკვდილ-სიცოცხლის კითხვა,
გულის ცრემლის ქარს შეიწოვს ხარბად,
მშობლების საფლავს უცქერი დიდხანს.

* კავთა — ეკლესია თელავში

მოვკლათ დარღი

მოღი ერთიც დავლიოთ და
მოვკლათ დარღი – ნაგვის ღელე,
თორუმ ნისლის შავი ოდა
მაღე ყინვით ჩაგვიხველებს.

ლოცვითა გბანს საღ ტანს ღმერთი,
მირონს წასცხებს ფიქრის მერანს,
ჩამოასხი, ვახტანგ, ერთიც
დრო ქარივით მიჰქრის, ხედავ?!

გათბობს ლექსის ჰავა-განძი,
გულის სისხლით მოჭრი რითმებს,
მზე გაზომავს სავალ მანძილს,
ნათელი გზით მოჯირითე.

შევალეწოთ სევდას ყანწი,
ჩვენი ყანა სანამ ვარდობს.
და ლექსებით ნაკვებ არწივს
მივცეთ სივრცე სანავარდოდ.

მაშ დაასხი, დაელიოთ და
მოვკლათ დარღი – ნაგვის ღელე,
თორუმ ჯავრის შავი ოდა
მაღე ყინვით ჩაგვიხველებს.

გელანძოლიური ეტიუდი სამი ფიგურით

(ვახტანგ ჭანკოტაძეს, მე და
შალვა ხმალაძეს)

ერთგულ ძალლივით დაგვდევს ბური,
ზამთარი გვემით გვჭინჭრავს უკვე,
და უპატრონოდ დაგდებული,
ქვითინებს ჩვენი სიჭაბუკე.

წყალს აღარ გვასმევს დილის მწყემსი,
ქარს გაჰყევა ძალა ზღაპრული დევის,
კავთის კაკლების გრილი ხემსით,
ღრო მოვა ვეღარ დაგპურდებით.

დღეს ირმის ურჩი გალალებით,
ვერ ვბლავით — ზამთრის იყო ნება.
და ყრმობის ლურჯი ბალახები,
ცივ მოგონებად იკონება.

მიშით ვუტედავთ ყანწებს ჭიდილს,
აღარც ცეცხლი გვწვავს ძველებური,
გულზე წუხილი გაწევს დიდი,
მოშივდა ყრმობის ლელეს პური.

ერთგულ ძალლივით დაგვდევს ბური,
სიბერის ცხენი გვჭინჭრავს უკვე,
და უპატრონოდ დაგდებული,
კახეთში ქვითინებს სიჭაბუკე.

გზის სამოსელი

(მინაწერი ვ. ჭანკოტაძის წიგნზე)

გამოვთხოვე ალაზნის ჭალებს,
არ შევეტოლე შერსა და ავ ზნეს,
სხვისი სიმღერის ფანდური ვთალე,
ბედმა სხვისი მზე დამზურა თავზე.

შენთვის გავშალე ლექსის აფრები
დამქონდა შენი ტრფიალის გუდა
და „ალავერდის“ ცაში აფრენილ
ლოცვის მტრედებით ვხარობდი მუდამ.

ვეფერებოდი უჯარმის ციხეს
მტრისგან ვერ ძლეულს და ვერ გათელილს,
და ანათებდა თელავის რიყეს
ჩემი ფიქრების წმინდა სანთელი.

შენი თვალებით გომბორის ქედებს,
ვუმზერდი, გულში ჩაგენთე ზატად
და სიყვარულის რითმების ედემს
დღეს ამ თვალების სითბოთი ვხატავ.

არ უნდა ბევრი მტკიცება, ფიცი,
დაჭრება ჩემი ველის ვარდობაც,
არ დამაყვდრი ერთ მუჭას, ვიცი,
მიწას – წინასწარ გიხდი მაღლობას.

სინდისით შევცარ ფიცი მე ტივად,
ბოროტ ხელს უნდა უმ ცას მახალოს,
კახეთო, შენი მიწის ბელტი ვარ,
მზით აზელილი, თუმცა აყალო.

გამოვეთხოვე ალაზნის ჭალებს,
ზურგი ვაქციე შურსა და ავ ზნეს,
სხვისი ვერხვების ფანდური ვთალე,
მაინც შენი მზე მეზურა თავზე.

მიბაძვა

(ექსპრომტი)

ღმერთმა გიკურთხათ საღ ტანთა გაშლა,
ლექსის მზე ცას რომ მიუკავშიროთ,
თქვენ გაგიმარჯოთ ვახტანგ და ვაჟა,
ჭანკოტაძე და შიუკაშვილო.

ბევრის ცხოვრება გაშავდა, წახდა,
თქვენ კი სიკეთის თან დაგქონდათ რძე,
მზით გადღევრძელებთ ვაჟავ და ვახტანგ
შიუკაშვილო და ჭანკოტაძე.

სულ აძრდლვაალეთ სიცოცხლის შუქი,
ლექსის მირონი პირს გბანდეთ დიდხანს,
მე ბეზნიერი ვიქწები თუ კი
სუვარით დამილბობთ სამარის თიხას.

2004 წ.

გარინე ტლაშაბე-ლომინაშვილი

შენ კი ოღალი მოგცა განგებამ

კაცური კაცის გერქვას სახელი,
იღბალიც გქონდეს უნდა,
და თუ რამეა, ამფერ სათქმელი,
ითქვას, რაღათქმაუნდა.

ფიქრებში წასულს ძველი სახნისი
გამხსენებია თურმე,
წიქარაც, კიდევ ოქროს საწმისი...
წარსულს შორიდან უმზერ.

უმზერ ცათამბჯენს, ბებერ სამთავისს
გხიბლავს სამების ხილვა,
დაულოცნია დღემდე კაცთათვის
რწმენა, მოთმენა ვისაც.

ვინ ზღაპრებიდან მოვტაცე ფიქრებს,
ვინ გადაევლო ბექობს,
ვინ გამოსტაცებს მზეს ოქროს სირმებს,
ვინ გამაგონებს ექოს.

ვის შეუძლია იყოს ვაჟკაცი,
ვის შესწევს თქვენებრ ძალა,
რითმამ დაიწყო სულში პარპაცი,
დუმილი ახლა კმარა.

ფიქრი კიაფობს გულის სიღრმეში,
ნისლი იშლება თეთრად,
გმირი მინასაც ბევრი — სიზმარში
ცხადად კი ერთი, კენტად.

შენ კი ოღალი მოგცა განგებამ
ბედი გარგუნა მზედრის

იყო ვაჟკაცი შენი ქვეყნის და
მორწმუნე მაღალ ღმერთის.

ლოცვად დაგდევდეს ღვთის ანგელოზი,
რწმენით გივსებდეს კალთას
და სიყვარული, ვით ავგაროზი
გზას გიკვალავდეს მართალს.

იყო შეედარი დიდი ხვედრია
შენი ერის და ქვეყნის,
დასაფიცველიც ერთადერთია
გამქრალა ფიქრი კვეწნის.



დამილოცნია ღვთის სიყვარული
მესმის გალობა ხეთა
მეწყრად მოსული ზღვა სიხარული
სიწმინდე წარსულ დღეთა.
გარდასულ დღეთა უჩვევო ფიქრებს
მინდა ფანტავდეს დილა
და წარმატებებს გზად დანაფიფქებს
კვლავ ისახავდე მიზნად.

რომ არა ძალა, დიდი უნარი,
რწმენის მარადი მრწამსი,
დროშა ფრიალებს გაუხუნარი
წინსვლა, მრავალი შენი.


არის ნამდვილად ვაჟკაცის ხვედრი
უფლის ნება და ძალა,
სიმშვიდე ახლად მონაპოვარი
გამარჯვებები მრავლად.

მსურს მოგილოცო დროთა ჭიდილში
დღეს დევდეს მეტი ხიბლი,
დაგაჯილდოვა, რაღაც განგებამ
მართლაც უქმრო იღბლით.

2008 წ.

აღმაშენდოვ ტაბატაძე

ვახტანგ



(საახალწლო საღამოზე
კვლევით ინსტიტუტში,
ექსპრომტად)

საუცხოოდ გამოგდის,
დომინო და ბანქო,
გიტარასაც იმონებ,
გულით მინდა გაქო.

„ნაუკაც“ გეხერხება –
ნიჭი იმედს ბადებს,
შეგიყვარა ქართლმა და
კვლავ ახარებ კახეთს.

1972 წ.

მიხეილ შავთორავილი

ვახოს

რა ვქნა, სიმღერა არ შემიძლია,
ლამის მკერდს გიკრა მჯილი,
სუფრასთან შენი ლალი მოლხენა,
მე ერთ სიცოცხლედ მიღირს.



ვაშა შიუკაშვილი

აურა



მიგყავს კაცობა სპეტაკად
ჭანკოტაძეანთ ვახტანგსა,
ცხოვრების რთულმა სპექტაკლმა
სავალ გზაზე ვერ დაგთარსა.

დაიარები ამაყად,
ზეირთებს მიაპობ მკლავურად,
დევ-გენერალის მამა ზარ,
ოჯახიც შეჰქმენ, ჰაუ, რა?!
მაინც წუწუნებ ხანდახან –
არა მწყალობსო აურა.

ლექსს წერ, გიტარით მღერიზარ,
გლოცავენ ახალგაზრდები.
თუ არ თამადობ, ერიჲა
სმის ეშხზე არ ზარ, ბრაზდები.

ხშირად აბოლებ სიგარეტს,
ეკოგარემოს გიგამლებს.
ალბათ, წევისგან სიმრგვალეც
გაკლია სიმსხო-სიგანეც.

შევნოდი „ტელეთრიალეთს“
პოეზიური რუბრიკით.
თუმც, ვერ შემორჩა სიამედ
რუბრიკა ბედად პუბლიკის.

შენ ზალხსა მოძღვრავ და ახლა,
კუბში ახვედი ზარისხად,
ახლებს უმტკიცებ-რქაცა ზნავს
ხშირად დროული ზარისა.

მტერს ეგ ლაზეპარი ეტაკა,
ზვირთები აქე მკლავურად,
ვხედავთ – მაგ სულმა სპეტაკმა
კერა აშენა, ჰაუ, რა?!

არ ხარ სონეტით პეტრარკა,
თანაგიგრძნობდა ლაურა,
თავს წუღარა თვლი ბედნაკლად –
არა მწყალობსო აურა.

შერგილ და ვახტანგ

, „მმანო, კახელნო, ნამდვილ ქართველნო“:
სუხიტაშვილო და ჭანკოტაძე,
შერგილ და ვახტანგ, სწამდით სამთელოდ
ამირანს გულზე, დასაკორტნავზე;

კვლავაც გიგულებთ შეგირდთა ნალითა
საქვეყნო ფიქრზე, საწალკოტარზე,
ძმანო კახელნო: შერგილ და ვახტანგ –
სუხიტაშვილო და ჭანკოტაძე.

ციცერონს რწმენის აგანგაშებით
რომ ხვდა, ჩვენ იგი სუსხი გვაცილოს,
ნამდვილ ქართველნო: ვახტანგ და შერგილ –
ჭანკოტაძე და სუხიტაშვილო!

* * *

აწი თამადაა ვახტანგ ჭანკოტაძე
ჭიქილან გადავა მაღვე ჯამ-ქოთანზე.

გადლი

წერს ჭანკოტაძე ვახტანგი,
უურცლისფრად ღამეს ათევს,
სამ ტომად დადო ნასტაბბი
წიგნი „...და ვანთებ სანთელს“,

რაც ორას სახელს მოიცავს
გორში მიცვლილი კაცის.
ავტორი, სხვათა შორისაც,
ზედ აწერს პირველ ნაწილს.

მიუუძღვენიო ეს წიგნი
მათ ხსოვნას და აჩრდილებს,
ნათელი კვალი ჩემს ირგვლივ
რომლებმაც დაამჩნიეს.

მკითხველი წიგნთა ჩანაქსოვს
აზრს ისმენს, რჩება სახტად —
ზოგს ერთი მადლიც არ ახსოვს,
შენ ორასს ხედავ, ვახტანგ.

გოდერძი ჩემპიზვილი

ოქროს ძმას

თურმე ყოფილხარ ჩვენი მედროშე,
ქართლელებისა და ქათრლის გულში,
აქაც ხომ გვახსოვს შენი ყოჩობა...
ასე გვერდი ეს იყო გუშინ.

დღესაც კი ბევრგან ღობეს თუ კედელს,
შენი „თიკუნის“ წარწერა „მკობს“,
ავლა-ჩავლაზე გვახსნებს მუდამ
ჩვენი ბავშვობის ტკბილ-მწარე ნამყოს.

იმედს ვიტოვებთ, რომ არ შეგვარცხვენ,
მშობლიურ თელავს დაადგამ გვირგვინს,
დაბრუნდი, გელით დიდი ხანია —
დრო, კარგად იცი, ულმობლად მირბის.

1960 წ.



რობერტ ძევლაძე



* * *

მე გურული ვარ, შენ კი კანელი,
სამაგალითო გამოგდის ძმობა,
მრავალჯერ შეხვდი: დაბადების დღეს,
ალავერდობას, ალდგომას, ბზობას.

მემდური, შემწვარ ახალ კარტოფილს,
საჭირო დოზით არ აქსო კამა,
მაინც გეხვევი და გეფერები —
უთვალავ წლებით იცოცხლე ძამა.

1959 წ.


პამო ხმალაძე

* * *

ვიცი ტიკჭორას გეძახდნენ,
 როცა ყოფილხარ პატარა,
 ახლა ცოტას სვამ, ითვრები,
 ხომ არ გიმტყუნა ნაღარამ?!


მაინც მოლხენის თავი ზარ,
 სხვასაც ამღერებ, შენც მღერი,
 სუფრის გაძლოლაც გიხდება....
 ძნელად ვიპოვოთ შენფერი.

1983 წ.



გასილ ჯავახიშვილი

(მე-2 შოთარიო ომის
ვეტერანი)



ბატონი ვასტანგ

ოპერატორი თან გყავდა მაშინ,
როცა ესტუმრე ჩემ ვიწრო ბინას,
ვეტერანებზე იღებდი ფილმებს –
მისვამდი კითხვებს, ელტვოდი მიზანს.

მიგიპატიუე გაშლილ სუფრასთან;
ფრთხილი უარით დამწყვიტე გული,
მითხარი, „ვასო, ვმუშაობ ახლა,
იცი, საქმე მაქვს ბევრი და რთული“.

ხან კამერაში უმშერდი რთულ ფონს,
ჩემს დღიურებშიც სწავლობდი გვერდებს,
გულთან მიგქონდა მეომრის ბედი,
თან სიამაყით მითვლიდი მედლებს.

დამთავრდა, იქმნა პატარა ფილმი,
გამოგრჩებია, ვფიქრობდი, არც რა,
აი, მაშინ თქვი რომ პურმარილი,
მოგვიხდებაო, ახლა კი მართლაც.

ვეტერანების გულგასახარად,
ღმერთმა მოგიძლვნას მრავალი წელი,
სახლის კარები ღიაა შენთვის,
როცა კი გსურდეს, მობრძანდი, გელი.

ნათელა ჯაფარიძე



ჩემო ძმებო

დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ,
ვახტანგ, შერგილ და ვაჟა,
არ მოგკლებოდეთ, თან გდევდეთ,
მძლავრი ქართული ვაშა.

როდია შესაშურები,
თვითმარევია და ფლიდი,
თქვენ კი სპეტაკი გულებით,
დაგაქვთ სიკეთე დიდი.

ბუნებამ ჩამოიბერტყა,
თქვენზე გულუხვი კალთა,
მამულს მარგალიტ-ნალვაწი
ღექსებად დაეფანტა.

გაფრინდა წელი მრავალი,
კვალი უშლელი დარჩა,
ვერ მოგერევათ სიბერე,
ვახტანგ, შერგილ და ვაჟა.

Բ Յ Թ Ց Տ Ե

ირაკლი აბაშიძეს

ყამირ სიტყვის მაღნით ჰპოვებს,
ლექსის მწვერვალს – აბაშიძე,
დაემსგავსე ამ დიდ პოეტს,
თუ ბიჭი ხარ, აბა სინჯე.

ტარიელ აბუაშვილს

(ყოფილ გვარდიელს)

მოფერებით და ალერსით,
ბევრი გეძახის ტარასის,
ნეტავ რად გინდა შენ „კლიჩკა“
სხვა ერისა და სხვა რასის?

შობით ხარ ძე ტარიელი,
გულმართალი და ძლიერი,
გისურვებ დაოჯახებას,
კაცურ ეშნით და იერით.

და თუ მართლაც ხარ ტარიელ,
ლელოს გამტანი, შემტანი,
მამულს უმრავლე შვილები:
ავთანდილ, ფრიდონ, ნესტანი.

ანას

(შვილიშვილს)

კვლავ მერცხალივით ჭიკჭიკა,
და მერცხალივით სწრაფია,
ვის ყანწები და ვის ჭიქა,
მის სადღეგრძებლად სწადია.

კითხვას ბოლომდე ვერ ასწრებ,
პასუხი მზად აქვს უმალვე,
ვერ მოატყუებ ვერაფერს
რამდენიც გინდა უმალე.

პროგრამით ძნელი გამოცდა,
მისთვის დღეისთვის არ არის,
თუ ვინმეს ცუდი წამოსცდა,
არ აპატიებს არავის.

2001 წ.

* * *

ანას უყვარს გაკვეთილის
თავის დროზე სწავლა,
ძილის წინ კი ბებისთან
ღია ცის ქვეშ გავლა.

1992 წ.

აკაპი ბიძინაშვილს

ვამაყობ კაცით, აკაკით,
ლექსი მოუდის რაკრაკით;
აკაკი, წიგნს ველოდებით,
მუხლებზე ვდგავართ გოდებით,
არა თქვა — „თქვენ ვინ გაკითხებთ“,
თორემ, დაგისვამთ სხვა კითხვებს.

* * *

ხალხმრავალ ოჯახს უვლი და ბორგავ,
ნატრობ, რომ გქონდეს ათასი წელი,
ხან უვლი გუთანს, ხან ჭედავ ბორბალს,
ხან ეძებ ტრაქტორს, ხან ამინდს ელი.

ეზო, სარდაფი არის ავ დღეში,
მოჩანს ყუთები, ტაშტი, ვედრები,
თავბრუ გესხმის და თავს გრძნობ მახეში,
მომჩივარს ხშირად ეპაექრები.

შეშაც მოელის უკვე დაპობას,
დახვავებულა შუა ეზოში,
იხვი, ქათმი, კატაც — რატომლაც,
უკან დაგდევენ კაკან-დებოშით.

შენში სუსველა მარჩენალს ეძებს...
ხან შვილთაშვილი გაჯდება თავზე,
ზოგჯერ ღუმელში გიყრიან ლექსებს,
გარეთ კი ყინვა გიწუხებს ვაზებს.

შენ რომ საქმე გაქვს, იმდენი ალბათ,
ტყეში არ არის „შავჩოხა“ სოკო,
ხან დაქმდები, ხან ებრძვი აღმართს,
შშრომელ-მებრძოლის გამშვენებს ლოგო.

შენს ლექსებში რომ სულ ასე ამბობ:
„ხმალ-ხანჯლის ქვევით ვიკვალავ გზა-კვალს“...
ვერ გარკვეულხარ რისოვის ან რატომ,
ხშირად სწყალობენ უვიცს და მზაკვარს.

შენზე დაღლილი სახლში ვინ მიდის?!
დილა-საღამოს გიხდება შრომა...
კაკო, ბალახი! კაკო, სიმინდი! –
ძროხებს თუ ღორებს არა აქვთ ძლომა.

მოხვნა, დათესვა, გასხვლა, გათოხნა –
გარგუნეს ვალად მუყაით-ფრთამალს,
არ აწყობთ შენი სახლში არყოფნა...
ბაგშვი თუ ტირის, დაეძებ წამალს.

თესლები, შხამი, ფუთი კი ვაშლებს,
მაინც არ სტოვებ ქელებს, ძეობას,
დიდებს ხორავი, პამპერსი ბაგშვებს...
აფერუძ, კაკო, შენ გამძლეობას.

ქურდი, მღლიქნელი, თუ ავაზაკი,
მჯერა გულწრფველად – დაგაკლებს ვერას...
და მართლაც მიკვირს, ჩემო აკაკი
როდისღა ასწრებ ლექსების წერას?!

გერონტი გოგინაშვილს

(ქართველის მუსიკალურ
სკოლაში შეხვედრაზე)

ზომით ღებულობ კალვადოსს,
სითბო გელვრება წიგნიდან,
ყოფის სამჭედლოს კარგად სცნობ,
გარედან, თუნდაც შიგნიდან.

რასაც ცხოვრება შესწირე,
იმას წერ, იმას გვიყვები,
ვერ გებულობენ შენ წიგნებს,
მხოლოდ მედროვე ბრიყვები.

ვკითხულობთ, ფინალს მოველით
რიურაუს ლანდავენ ისრები.
შენ ნახვას ელის ყოველი,
ხარ პურმარილის მკისრები.

ვეტყვი — ჩემ ნათქვამს ვინც ელის,
კაცი ყოფილხარ კაცური,
გასახარებლად მკითხველის,
„იწველებოდე ცხრა ცურით“.

იმასდა ვნატრობ წვალებით —
დროის სვლა იყოს სულ ნელი,
არ გვაკლდეს შენი წყალობით,
მარნის და წიგნის სურნელი.

2006 წ.

ოთარ ღვეიძეს

ყველას ოქროს ებაზის,
დიდებსა თუ პატარებს,
ისე არჩენს პაციენტს,
წამალს არ მიაკარებს.

ტანადობა ამშვენებს,
გვარის შესაფერისი,
ავადმყოფებს მკურნალობს
უძალლესი სერვისით.

რეზო ამაშუპელს

ხმა მომენატრა
ამაშუკელის,
გვირაბს გასცემის,
ალბათ შუქს ელის.

გალიკო ღოლიაშვილს

(აფხაზეთის ომის ვეტერანთა
შიდა ქართლის რეგიონის
საბჭოს ხელმძღვანელს)

სამშვიდობო და საბრძოლო,
როდი გაკლია ნათლობა,
მოქალაქემ თუ მებრძოლმა,
მრავლად გიხადეს მადლობა.

მამულს სწირავდი სიცოცხლეს,
არ გიფიქრია წამითაც,
შენ იცი ბევრი დავკარგეთ,
გუმისთასთან თუ ტამიშთან.

ტყვია არ აგცდა მოშევდურის,
დროებით დაგსვეს „ზაპასში“,
ის დროა ახლა მოსული,
არ ჩაგვეძინოს ზღაპარში.

არ გვინდა ბევრი ჩიჩინი,
რაც არ იყო და რაც იყო,
მებრძოლთა რიგში ჩავდგები,
შენ გამიმქინი გალიკო.

ლადო ვარძელაშვილის

მთავარსარდლობა ბედის გარგუნა,
 შიდა ქართლის და თავად გორისაც,
 გულგასახარი ფერთა ლაგუნა,
 აღარ მოგვიჩნის ახლა შორისად.

ნანატრი ჟამის ექო გრიალებს,
 იმედით ყველას გული აივსო,
 მკურნავ მალამოს უსგამ იარებს,
 კაცის ღირსებაც მეტად მაისობს.

ლურჯ ცას გვაწვია გედის პროფილმა,
 წელში გასწორდნენ სახლიკაცები,
 სიკეთე არც თუ ძნელი ყოფილა,
 თუ კი ნებას ფლობ მადლის გაცემის.

ხალხმა ყოჩობა ლოცვით გიბობა,
 იწყება კვირტის ახლად ვაზობა,
 ჩვენშიც იხარებს მორცხვი მიმოზა...
 აფერუებ! ასეთ ახალგაზრდობას.

ირინე ვარძიგულოვას

(მუდლეს,
ორი ვაჟიშვილის დედას)

თუ რამ მეთქმის, შენზე მეთქმის,
გიცნობ ზუთი თითივით,
პურმარილის წსენებაზე,
გული გიხტის ჩიტივით.

იყვ მუდამ ახალგაზრდა,
წლები თუნდაც გარბოდნენ,
რა იქნება გოგონები
ჩვენს ოჯახშიც დარბოდნენ.

1969 წ.

* * *

(მეორე ვაჟიშვილის ქორწილში)

გიხაროდეს ჩემო ირა,
ორმაგი სარ დედამთილი,
ალბათ ჩუმად ანგარიშობ,
რომ უკვე გყავს ოთხი შვილი.

დავით თმვაძეს

(თავდაცვის მინისტრს)

ჟურნალისტები დაგდევენ,
 (ქართველია თუ მონღოლი),
 რა უნდათ, რად გაწუხებენ,
 „სეკრეტის“ არ ზარ მომყოლი.

ურთულეს საქმეს დაგჭიდეს,
 როდი შეგირცხვა იერი?!
 ჯარიც ისეთი გყოლოდეს,
 როგორც შენა ზარ ძლიერი.

2002 წ.

* * *

საქმე დიდი დაგაკისრეს,
 სახლაფორთო, სარბენი,
 ალბათ ფიქრობ — სად მონახეს
 გაჭირვება ამდენი.

მანც ყველას სჯერა შენი,
 სიტყვის ნაცვლად — საქმისა,
 ჟურვის პილზი დაგმშვენდება
 კარგი ლვინის სასმისად.

2001 წ.

ზაურ თეთრუაშვილს

მეცნიერებას ძერწავ ხარის რქით,
გასაბრწყინებლად ძეთა გვარისა,
ყველა წოდება, ბევრი ხარისხი,
დაიმსახურე შესაბამისად.

ფლობ უშეცდომოდ არსთა ფარვატერს,
იარას უწვევ დაშნით დაჭრილებს,
მხარში უდგახარ, თავს დაფარფატებ,
შვილებს, მათ შვილებს და შვილთაშვილებს.

ცხოვრებამ ბევრი ტვირთი გარგუნა,
როდი გხვდებოდა ყველგან იები,
არ გიძებნია მშვიდი ლაგუნა,
ახლა უწვად გაქვს რეგალიები.

ვერავინ გნახა უქმად მავალი,
ხალხმრავალ ოჯახს უდგახარ ლიბოდ,
სხვისი და შენი ურვა მრავალი,
კვლავაც მზადა ხარ ამაყად ზიდო.

საწუთომ ცალი ფრთა დაგიხარა,
ცრემლი სდიოდა გარდსა და ნარცისს,
სასწორი შენსკენ გადაიხარა,
პინაზე იდო კაცობა კაცის.

ვეღარ მღერიხარ უკვე ორ ხმაში,
და მაინც ვამბობთ — მტკიცე კაცია,
მარტო ის რად ღირს, რომ შენ ოჯახში,
ხუთჯერ იქუხა დისერტაციამ!

კაცის ცხოვრება მართლაა ძნელი,
ცრემლიც ყოფილა ზოგჯერ საჭირო,
შენგან მხნეობას და სიბრძნეს ველით,
რათა დუშმანის დედა ატირო.

დინჯი საუბრის მუდამ ხარ მოშხრე,
არ შეგაშინოს ჩუმმა ნაღარამ,
ფიცი მოგვეცი – რაც უნდა მოხდეს
შენს გულს ჭრილობა აღარ დაღარავს.

გახსოვს ის წლები – უძლებს ვებრძოდით,
ყოფას მუზიკს და ზოგჯერ ცვალებადს,
საღად ერთმანეთს ვუგებთ, ვენდობით,
როცა ჭაღარა მოგვეძალება.

ქიციც იცოდი, ქიცმაცურებიც,
და თხილის გულის ცხრაზე გაყოფაც,
ვერვინ დაგასწრებს, გინდ ძნა ფულებით,
ზაურ, ჯიბეში ხელის ჩაყოფას.

შენ თამადობას გაურბი ხშირად,
არ გიყვარს თავის წარმოჩინება,
თუმცა კი ეტრფი, აწ ბუხრის პირად,
ქართული სუფრის საძმო დინებას.

სწრაფად ჭრიალებს ცხოვრების ჩარხი,
გზაში შეგხვდება კეთილიც, ავიც,
არ მოგსწრებოდეთ შენ დროშს დახრილს,
გამარჯვებულად გეჭიროს თავი.

ჯემალ ინჯიას

ჯემალ ინჯია,
კაცი დინჯია,
გამორჩეული
როგორც ბრინჯია

ჯემალ ინჯია
ოქროს ბიჭია
სულით მებრძოლის
ნაღდი სინჯია

ჯემალ ინჯია
ქების ლირსია
აღსრულებოდეს
ყველა მისია.

* * *

ნაპერწკლებად ისვრის ლექსებს,
ჩვენი ჯემალ ინჯია,
კითხვის ტემპით არ ჰგავს ლექსენს,
ზომიერად დინჯია.

„ცხ მნით სვლა“

რით გაგახარო, რა მეთქმის,
ისეთი, რაც ჯერ არ მითქვაშს,
შენი კალამი ნათელს ქმნის,
არ ეძებ არც რიტმს, არც რითმას.

შენი შხარდგომა უხარის,
რითმის, ჭადრაკის ოსტატებს,
ფანდი დაუგე რაჭველებს –
საცოლედ ქალი მოსტაცე.

ბოჭემურს ეტრფი პურმარილს,
ზოგჯერ ხდება, რომ ველით „სხვას“,
თუ კამპანია ეშხს არ გგვრის,
უცებ აკეთებ „ცხენით სვლას“.

სად გნახოთ ძალით თილისმის,
დაგეძებთ შორს და ახლოში,
ალბათ იმ „სხვასთან“ ღვინის სმის,
არც ნება გქონდა, არც ხოში.

მე ვეთანხმები ბევრის აზრს,
რომ შენ მეათე ჭიქაზე,
სასურველ სიტყვის ძებნისას,
მარცხენას ისვამ ნიკაპზე.

შვილიშვილებში იბევრე,
ლექსიც მრავალი გეწეროს,
ბლის ძირი უკვე იგემე,
ახლა გისურვებ კეწეროს.

ირინეს

(შვილიშვილს)

მოუთმენლად გელოდნენ,
დედიკო და მამიკო,
რატომ დააგვიანე,
თქვი მიზეზი რა იყო?!

ალბათ უკვე იცოდი,
რომ ზამთარი დგებოდა,
დედის სითბოს ვერ თმობდი,
ტკბილად ჩაგძინებოდა.

* * *

გაუხარე გული ლელას,
დაუმშვიდე სული რეზოს,
სიხარული ამცნე ყველას,
შენს სახლსა და მწვანე ეზოს.

ორი „საქმის“ გაქვს იმედი,
ფაფა ჭამო, დაიძინო,
ცოტათი რომ გაიზრდები —
იკუნტრუმო და იცინო.

ნანა პპარიანთაშვილს

(დაბადების დღისათვის)

თავს ვიკავებთ, არა გკითხავთ,
თუ რამდენი წლისა ხარ,
თეორიას თუმც ემდური,
პრაქტიკული ჭკვისა ხარ.

ახალგაზრდა კერის დედამ,
უმასპინძლე ვის აღარ,
იმედია დაგვიჯერებ
ყველას ძლიერ გვიყვარხარ.

გაგეზარდოს თათიკუნა,
ლამაზი და ჭკვიანი,
დროა ბიჭიც „შეიძინ“
რომ არ იყოს გვიანი.

დაბადების დღეს გილოცავთ,
ღვინით სავსე თასებით,
მთელი უბნის ქალები და
ჩვენი ეზოს კაცები.

წარწერა საჩუქარზე

ღმერთი არის თავდები,
არ გთავაზობთ ნაქურდალს,
რომ არ გვქონდა ვარდები,
გიძლვნით მცირე საჩუქარს.

შოთა პიკოლაშვილს

(თანაკლასელს)

შენ, შენ ცხოვრებას ფურცელ-ფურცელ
მტკიცედ კინძავდი,
შესაძენ საგანს სამი თითით
მუდამ სინჯავდი.

განირჩეოდი პრაქტიკული
ჭკუით, გონებით,
არ დაბოლმილხარ, არ დამწვარხარ
სხვისი ქონებით.

მუსიკა გიყვარს, არც ცეკვაზე
იძახი უარს,
არჩევ, აფასებ უანგაროდ
მართალს და მტყუანს.

გიორგი ლეონიძეს

არ ვიღიწყებო გოგლას,
ლექსით დღესაც მორცხვობს,
პოეზია ბორგავს,
პოეზია ცოცხლობს.

რობერტ გალლაკელიძეს

აღარ ავალო სცენაზე – გითქვამს:
 „გზას ახალგაზრდებს ვუთმობ“,
 სხვას თუ დასჭირდა მუდარა დიდხანს,
 მე გამიმართლა უფრო.

ჩემს გულწრფელ თხოვნას დათანხმდი გულით,
 არად გიღირდა ფიცი,
 „კაცი კაცისთვის“, რომ არის თქმული,
 ყველაზე უკეთ ოცი.

კარგად გამოგდის საქმის კეთება
 უწყი სიკეთის წონაც,
 ჰელე ზეიძი ლამაზ ფერებად,
 გულს მოგვაშორე ძრწოლა.

მაღალ დონეზე შედგა შეხვედრა,
 დარბაზს ეკრდა ცეცხლი,
 არ მომაკელი ხოტბა-შექება
 თმებში შემიქე ვერცხლიც.

ერუდიციით შვებას გვანიჭებ,
 მარჯვედ იყენებ „მოლბერტის“,
 შენს გულმხურვალე ძმებს და ძმაბიჭებს
 მუდამ სჭირდები, რობერტ!

2008 წ.

გურამ გაჩაიძეს
(70 წლის ოუბილებზე)

კაცურქაცობას რომ ჭედდი,
 სითბო გიძღვდა გულის,
 არა ყოფილხარ მოშევეჭი
 ქონებისა და ფულის.

დროა გახვიდე ჩეროდან,
 თვალი მოავლო მყობადს,
 უანგარობა გჩვეოდა
 და ახლაცა გაქვს ჰობად.

ღმერთის და კაცის მონატრეს,
 გაქებთ ოსტატს და მკურნალს,
 ვიცი, ვერაფერს მოგაკლებს
 უამის უკუღმა ბრუნვა.

ბევრისთვისა ხარ ძმობილი,
 თავი გეჭიროს თალხნად,
 ხალხის წიაღში შობილი –
 კერპად გაკურთხა ხალხმა.

მე მხოლოდ ის დამრჩენა,
 გიგულო ახლო კაცად,
 ხუთი ჯვრის დროშა – ჩვენიანს,
 არ დაგეხსაროს არსად.

სოფიკო ეპეპაბიშვილს

(60 წლის ოუბილესთან
დაკავშირებით)

ზეწოლა

ჩიოდი — არ გვაქვს გაზეთი,
ჩვენი ნაღვაწის პირშოდ,
სწუხდი, რომ ყოფა ასეთი,
შემოქმედებას გვიხშობს.

სად ვწეროთ, ან სად დავტეჭდოთ —
არ გასვენებდა ფიქრი,
საქმე გიჩანდა საეჭვოდ,
ორი წელია — თითქმის.

ცდილობდი ცრემლის დადენით,
ჩვენო პატარა სოფო!
ბევრჯერ შეგვერიბე — ამდენი,
ტყეში არ არის სოკო.

ვერ დაიკვეხნის ვერავინ,
ლტოლვას და სწრაფვას ასეთს,
მგონი სიზმარშიც ხედავდი
ლიტერატურულ გაზეთს.

გვიჩიჩინებდი დაწოლით,
საქმეს გვიქებდი ერთობ,
„გამოვჩნდებითო სხვა წონით
ვიამაყებთო ერთდროს“:

მთაში, ბარში თუ ქუჩაში,
გემალებოდით ხშირად,
დავკარგეთ ნამუს-ულვაში,
რას არ ვხმარობდით შირმად?!

წაგვართვი წერის წყურვილი,
მე, კაკოს, ვაჟას, შერგილს,
ძალაც დავკარგეთ, სურვილიც
ვეღარ ვსუნთქავდით შვებით.

ახლა მსურს კარგად იცოდნენ –
ხმარობდი ყველა ბერკეტს,
ჩვენ კი თიკუნად გიწოდებთ
„ლიტერატურულ რეკეტს“.

მუსიკა მაჭავარიანს

ლექსები მთუთქავს მუხრანის,
თუმც წყალში ვდგავარ მუხლამდის,
და მუხრან, მაინც იცოდე –
მსურს შენი ლექსით ვიწვოდე.

გოგი პაპიძეს

(ნადირობის ტრფიალს)

პაპიძევ, გვითხარ მმობილო,
ბოლომდე იყავ სულგრძელი,
რა უფრო მეტი მოგიკლავს,
დათვი, მგელი თუ კურდღელი?

მწყერი, რომ ერთხელ გგაჭამე,
განა ეს საკადრისია?
ახლა ისა თქვი, გეთაყვა —
შენ მოჰკალი თუ სხვისია.

1978 წ.

ალბერტ რატიშვილს

(მათემატიკოსს, ნადირობისა და
თევზაობის მოყვარულს)

შემოაკლდა ცას ფრინველი,
მდინარეებს — თევზეული,
ტყეს დათვები, თუ ჯიქები,
გარეული, მხეცეული.

კარგი, ალბერტ, დაშოშმინდი,
დასთმე თოფვი და ანკესი,
ახლა დაჯექ, იქნივე,
შეიცვალე სკლა და გეზი.

1990 წ.

ურან საძაგლიშვილს

ვიხსენებ, შედგა საუბარი
 აკვანზე – ძმობის,
 სურვილი მიპყრობს, სამახსოვრო
 იმ დღეთა ქების,
 მაშინ ნაჭექი სიძლერის ხმა
 აქამდე მოდის,
 გააფერმერთალა, თუმც ჭალარამ
 დიდება წლების.

შენ გვერდით ყოფნას ყველა თვლიდა
 ბედნიერებად,
 გშვენოდა ტკბილი „ურმული“ და
 „სანტა ლუჩია“,
 სიცოცხლე მაშინ კაშკაშებდა
 კეთილ ფერებად...
 გულს ნუ გაიტეხ, თუ ცხოვრება
 ახლა ურჩია.

დრო აღარ ითმენს, აღარ გვაცდის
 გენდოთ სხვა მიზანს,
 ლტოლვა შეყოვნდა, ჩაიხერგა
 სადღაც მთის შლილით,
 გლოცავთ და გაქებთ ბოროტ სულთან
 მებრძოლ ამირანს,
 შენა ხარ ჩვენი ბულბულიც და –
 სარაჯიშვილიც.

2007 წ.

შერგილ სუსიტაშვილს

* * *

არც ჭადრაკი არის უცხო,
არც სპორტი და არც სტატია
ეფერება ნაცნობს, უცნობს,
გულს სიკეთე ახატია.

ბევრს ვეტყოდი ჯერაც უთქმელს,
ძმაკაც პოეტს, სუხიტაშვილს,
თავის მამულს, თავის კუთხეს,
გაუზრდიდა თუ კი რვა შვილს.

* * *

შემოგრჩენია ჭალარა ბუჩქად,
ცქვიტ-ენერგიულს მიხვრით და მოხვრით,
რთულია შენი შეცნობა უცბათ —
სტროფუში ტაეპებს ფაქიზად თოხნი.

არ გენანება თბილი სალამი,
მზადა ხარ გული გაუყო ყველას,
დიდი ხანია შენი კალამი,
თვალისმომჭრელად კვესავს და ელავს.
კილოკავს ეტრფი კახური დამლის,
მაგალითისთვის ასეთიც კმარა,
„აჟე, შეხედე, ფეხმარდი ბალო,
როგორ ჭუჩებს განეულ ფარას.
ეპაეჭრები ლექსით რომელ მზეს,
ფესვმაგარ მუხას, ობლად მდგომ ჭადარს?
როგორ პატრონობ მაღალ დონეზე:
პუბლიცისტიკას, ოჯახს და ჭადრაკს?!

გალაკტიონ ტაბიძეს

ეჯიბრები ლექსით თუ კი,
გალაკტიონ ტაბიძეს,
ააძლერე ლერწმის ბუკი,
ხალხი ლტოლვას გაგიგებს.

მარიამ ტლაშამე-ლომინაშვილს
(დაბადების დღეს)

* * *

მე მარიამს არ გიწოდებ,
ხარ და დარჩები მარიკად,
დობას დამპირდი იცოდე,
ძმობას ვერ გავწევ სხვარიგად.

ლექსებს აშენებ ვით ხურო,
მე კი თავსა ვთვლი არიფად,
როცა შენ ნაღვაწს ვკითხულობ
თავს აღარა ვთვლი დარიბად.

შენთვის მოლოცვა რომ მსურდა,
ხან აქ გეძებე, ხან იქა,
მიშველეთ ლექსი მომწყურდა,
თასი შემიგსეთ, არიქ!

კაზა გიურეაშვილს

* * *

ცაც აღარ ყოფნის მეშვიდე,
ამაყობს სიტყვით თავისით
რისთვისაც გინდა შეხვიდე,
წინ შემოგ ხვდება ხალისით.

ენაფენანს გაჯახებს,
ლიმილს უებარს განიჭებს,
უტევს ლექსების სანახებს,
სიტყვით მიარღვევს კარიბჭეს.

၁၃၂

სამოცდათის გამხდარზარ
უკვე,
თუმცა ჭაბუკის გშვენის
იერი,
კალმითა ძერწავ უცნობს და
უკვლევს,
რითმა მოგიდის მხნე და
ძლიერი.

„შემოქმედებას“ – წელია
ათი,
კვებავ, აცოცხლებ, ისე ვით
ჩვილ ბავშვეს,

თავს გადგა თუთრი ასაკის
მნათი...
შენი ლექსების სატირაც
გვხიბლავს.

ლომს რომ გიწოდებ – მე მომწონს
სამმოდ,
„ქლიჩკა“ არ გქონდა – ასე
მეგონა,
დღეს იქნება, თუ იქნება
სხვადროს,
გთხოვ, მიგულებდე ერთგულ
მეგობრად.

მის ეილ ქვლივიძეს

შენი ლექსების ლამაზ ხმებს,
ვეტრფი, მიხეილ ქვლივიძე,
საამოდ მატყობს, მალალებს,
ისე, გით დედის თბილი რძე.

ჯანსულ ჩარპვიანს

ლექსით ვთვრები მე ჯანსული
ჩარკვიანის,
თითქოს ღვინო დამელიოს
ჩაფიანით.

პაპატა ჩხეიძეს

(გორის ყოფილ მერს)

* * *

დღედაღამ იმის ცდაში ზარ,
ქალაქს აღუდგეს იერი,
არ გყავდეს პენსიონერი
სიბრძელეში და მშიერი.
მამულიშვილი რომა ზარ —
სუყველამ გაითავისა,
ბრინჯაოს ძეგლი დაგვიდგი
ელიზბარ ერისთავისა.

მალე გვექნება ქუჩებში,
დაფნა, პალმა და კაკტუსი,
თუმცა მე ვიცი რაც გიშლის
ქალაქ გორს არ აქვს სტატუსი.
ბოროტი ძირში მოთხარე,
გორივეარია მფარველი,
შენი მომხრე და მოყვარე
ღმერთმა გიყოლოს ზღვა მრევლი.

ზაზა ჩემოშვილს

(აფხაზეთის ომის ვეტერანის,
არტილერისტის)

* * *

მადლიანო, სვიანო,
ბარსატ-ტენორ წმიანო,
უხმოდ გემორჩილება
ურჩი ფორტეპიანო.

გიტარასაც აქდერებ,
გაგიხდა მეგობრად,
თუ ქვემებზეც უკრავდი
ეს კი აღარ გვეგონა.

ზურა ჩხეიძეს

არ მოგკლებოდეს ეგ ლიმილი
და შემართება,
სამომავლოდ რომ გაბრწყინებულს
გვპირდება ზეცას,
გახსოვდეს, კაცი სხვის გულებსაც
აძლევს ნათებას,
თუ ზრუნვა-გარვით დაბიჯებს,
სიკეთეს თესავს.

ვალი ჩეიკვაძეს

გვხიბლავს ლექსებით და რომანებით,
ვუცქერით, ვუსმენთ ჩხიტვაძე ვანოს,
შევჭურებთ აისს სამო ზმანებით,
გულის ფანცქალით მოველით ანონსს.

გია ყარყარაშვილს

(თავდაცვის ყოფილ მინისტრს,
არტილერისტს)

* * *

თუკი არტილერია,
არის ღმერთი ომების,
შენ ღმერთი ზარ ქართველი
მეომარი ლომების.

ზოგი გიას გეძახის,
ზოგიც კიდევ გიორგის,
ძარღვში სისხლი გიღულის
მტკვრის, არაგვის, იორის.

ერთ რამეს გთხოვ, მმობილო
აგიოსრულე წადილი:
ფსოუს წყალი შეგვასვი
ქართულ ვაშას ძახილით.

გამუპა ყურაჭვილს

(საქართველოს სამშვიდობო ძალების
სარდალს, გენერალს)

* * *

შენი კაცობა და შემართება,
ბალავრად უდგას ქართველთ ღირსებას,
მშობლიურ ზეცის ცისფერ ნათებას,
ნისლი ვერ ბურავს, მაღლით ივსება.

შემოგყურებენ იმედის თვალით,
მონატრებას მშვიდობა ვისაც,
ყველა დევნილი, კაცი თუ ქალი,
მტკიცეა რწმენით – მიაღწევ მიზანს.
მაშ, გაგემარჯვოს სავალ ბილიქზე,
უფალი გადგეს მუდამ საფარად,
თავს დაგნათოდეს მშვიდი დილის მზე
ყველა ქართველის გულგასახარად.

დევი ჭანპოტაძეს

(უფროს ვაჟიშვილს, არჭიილერისტის,
გენერალ-მაიორს)

* * *

არწივით დაჰყურებ,
გახურებულ ბრძოლის ველს,
ზარბაზანს ეფერები,
როგორც ქალის ბროლის ყელს.

მტერი ბევრჯერ დააფრთხე,
მეზისებრი ქუხილით,
ტკივილად დაგრჩნია,
საქართველოს წუხილი.

ბრძოლაც იცი, ქეიფიც,
არ გეშლება წესები...
შვილები გაგეზარდოს
შენზე უკეთესები.

* * *

ბევრ სიძნელეს გაუმელი,
ძალა მოგდევს დევისა,
არასოდეს არ დაგჭირდეს
აპარატი წნევისა.

შენ სიკეთეს და კაცობას,
ჩვენში ბავშვიც მღერისა,
გენერლობას ველით ყველა
სამხრების ფერითაც.

ასეთია კაცის გული,
სურვილი აქვს მეტისა,
სიყვარული გქონდეს მუდამ,
მამისა და დედისა.

სულაც არ ვარ უმაღური,
ცხოვრების და ბედისა,
ნეტავ კიდევ ათი მყავდეს,
შენისთანა ჭედვისა,
სიდიადე არ გაკლია,
გული ლხენით მღერისა.

რეზო ჭანპოტაძეს

(უმცროს ვაჟიშვილს, მაიორს,
ქორწილში)

* * *

ჩემო რეზო, როგორც იქნა,
თავი შეყვავ უღელში...
არასოდეს არ ყოფილხარ,
უქნარა და უხეში.

შენ, ერთ ვარსკვლავს არ დასჯერდე,
თუმც არც ისე პატარას,
დაგილოცავ კეთილ მსურველს,
ვინც სწორი გზით გატარა.

ღმერთმა კარგი გაიმეტოს,
რაც არსებობს მიწაზე,
რვა-ცხრა წელში გასულიყავ,
შენი ძმის ორბიტაზე.

ვახტანგ ჯავახ აძმეს

ადუღაბებს, პკრავს კირის ქვით
ლექსებს გახტანგ ჯავახაძე,
ბობოქრობით, ხან პირიქით,
ხანაც მჭახედ — ჯარას ხმაზე.

დავით ხეიდაშვილს

* * *

ღმერთმა გარგუნა როული სამწყემსო,
მოსამართავად ძნელი არენა,
სიკეთით ყველას გული აგევსოს...
ხალხი იმედით ელის არსენას.

აშენებულა ქვეყნად ყოველი
რულუნებით და ცოტა-ცოტობით...
ქართლი მშვიდობას ეხლაც მოელის –
მაშინ იფეთქებს მორცხვად კოკობი.

გზა მოგუენოდეს სამო ვარდებით,
ივერთ მიწა-წყლის გშვენის მზის ფერი...
თუ კი რამეში გამოგადგები –
„შენი ხმალი და ჩემი კისერი“.

2000 წლის 16 სექტემბერს ჩვენი საცხოვრებელი სახლი-დან (ქ. გორი, სტალინის №24), ერთდროულად რვა ბავშვი შევიდა პირველ კლასში. მეზობლებმა გზა დაულოცეს მათ და ეზოში მოუწყეს სკოლაში გაცილება. მეც ექვსპრომტად დაწერილი ლექსებით აღვნიშე ეს ისტორიული მოვლენა.

თათია ნადირაშვილს

სკოლაში მიპქრის თათია,
თან ფიქრი მისდევს ნინოზე,
დრო აღარ რჩება იფიქროს,
კასეტებსა და კინოზე.

გიორგი იმერლიშვილს

ცქრიალა ბიჭი, გიორგი,
იმერლიშვილო გვარადა,
სულ ფრიადებზე გესწავლოს,
მშობლებს ეძღეროთ „ვარადა“.

გვანცეა გვერდითელს

პაპისა და მამის ნიჭის,
თუ გაჰყვები, გვანცაო,
კოშმაპარატს შექმნი —
გაგვაზარებს რაცაო.



ლევან თავყელიშვილს

იარაღის არსენალით,
განთქმული ხარ უბანში,
ნინძა ხარ, თუ იქნებ რემბო,
ანდა ზორო ულვაშით.

ახლა დროა, რომ ჩანთაში,
ჩაალაგო წიგნები,
გვჯერა, კარგად ისწავლი და
სანიმუშო იქნები.

გიორგი ჩხეიძეს

ველოსიპედს ეფერები,
(მამამ კარგად გათვალა),
ორთვლიანზე თოხარიკობ,
აღარ მოგწონს სამთვალა.

ზურიპო პიკნაველიძეს

ზურიკელავ, კოხტა ბიჭო,
ტანადა და ოვალადა,
„ხუთი“ იმდენი მიგელოს,
რომ დაგჭირდეს კალათა.
იქნებ მუსიკაცა სცადო,
უცბად აკრეფ დო მინორს
საღამოს კი ითამაშე,
ფეხბურთი და დომინო.

თორინიკე ლომსაძეს

სწავლას ეტრფი – ცხადია,
როგორც ყველა ქართველი,
პრეზიდენტი თუ არა
გახდი ბანკის მმართველი.

ლევან ტეტუნაშვილს

ლევანჩიკავ, „შუსტრად“ იყავ,
ჩახვდი ამ ჩემ მინაწერს,
დიტო ისე სწრაფად დარბის,
რომ სკოლაში მიგასწრებს.
მალე გახდი ძლიერი და
არ შეუდრკე არა სენს,
შეშის ჭრაში მიეხმარე
ივანიჩს და მამაშენს.

თბილისის „ლინამოს“ ვეტერანებას

6. ახალკაცს

თამაშს იგებდი გაგებით,
ვით სასტიკ ბრძოლას-სარდალი,
აღარ ჰყოლია „დინამოს“,
გამწვრთნელი შენი სადარი.

ვლ. გუცავეს

ვლადიმერი ყველას ახსოვს,
ფინტის სკივრი სავსე ჰქონდა
და მეტოქის კარის ახლოს,
როგორც ქარი ისე ქროდა.

7. კოსტავას

მოედნის დაცვის ზონაში,
ბუმბერაზად დგას კოსტავა,
ვერა დაკალო ფორვარდა
გამხდარმა, მთხლემ და ხმოსთავამ.

დ. ყიფიანს

ტექნიკით ფილიგრანულით,
ფლობდი თამაშის დინებას,
ხსენება და სინანული
შემოგვრჩა შენს სადიდებლად.

8. დარასელიას

ტრიალებდა ციბრუტივით
ბურთს „პარავდა“ მეტოქეს,
დუსლდორფში გატანილი
გოლი ახსოვთ მეგობრებს.

ალ. ჩივაძეს

კაპიტნობაც გშვენოდა,
„დაცვის ბურჯის“ წოდებაც,
თუნდაც სიცხე გქონილა,
ნაღდი გვქონდა მოგება.

9. გაბელიას

გულშემატკორებს აოცებ,
ანდამატისებრ ხელებით,
ბურთს იმონებდი, როგორც შტ-
ერს
აბლაბუდების ქსელები.

თ. სულაქველიძეს

გაიჭირვა და გვაჩუქა,
თენგიზმა – თასი ევროპის,
ასეთი თავგამოდება
განა „ერთ ქილა ერბოდ“
ღირს?!

ზ. სვანაძეს

ვაქებდით ერთგულ მობურთალს,
ყოველთვის, განა ხვალ ან ზევ,
თასის ფლობაში წილი აქვს,
ოფლში გაწურულ სვანაძეს.


რ. შენგელიას

ფანები, თუ ტიფოზები,
გალმერთებნ შენგელიას,
ფეხბურთის ცას შესცემრიან
შენ გოლებს და შენ გელიან.

ს ა რჩე ვ ი

წინასიტყვაობის ნაცვლად	3
ჩ ე მ კ ე ნ	
ჯუბო ალავერდაშვილი „ჩემ ვახტანგს“	6
აკაკი ბიძინაშვილი „ვახტანგს“	7
გერონტი გოგინაშვილი „მმურად“	8
ვაჟა დადანიძე „ჩემო ვახუშტი“	10
ჯემალ ინჯაა „თამადა“	11
*** შეხედეთ ამ ჩვენ ვახელსონს	11
გივი კაგაბაძე „მიდი კიგჩორ“	12
მერი მარწყვიაშვილი „მინდოდა შენთვის მეთქვა რაიმე“	13
იოსებ კრიხელი *** „ივლევ, აჯავებ“	13
სოფიკო მექანიშვილი „ვახტანგ“	14
ბეგლარ ხოზაძე „პოეტის ბედი“	15
ერემ სადაღაშვილი *** თელავურია ეს მტევანი	16
შერგილ სუხიტაშვილი „მზის მადლი“	18
„ქართველი“	20
„შეხვედრა ღუმელთან“	21
„მზიანა ნისლი“	23
„მოგლათ დარჩი“	24
„მელანქოლიური ეტიუდი“	25
„მზის სამოსელი“	26
„მობაძეა“	27
მარინე ტლაშვაძე-ლომინაშვილი	
„შენ კი იღბალი მოგცა განგებამ“	28
ალექსანდრე ტაბატაძე „ვახტანგ“	30
მიხეილ შაფორშვილი „ვახოს“	30
გაჟა შიუკაშვილი „აურა“	31
„შერგილ და ვახტანგ“	32
„მადლი“	33
გოლერი ჩეგურიშვილი „ოქროს ძმას“	34
რობერტ ძელაძე *** მე გურული ვარ	35
კამი ხმალაძე *** ვიცი ტიქტორას გეძახდნენ	36
ვასილ ჯავახიშვილი „ბატონო ვახტანგ“	37
ნათელა ჯავახიძე „ჩემო ძმებო“	38
ჩ ე მ გ ა ნ	
ირაკლი აბაშიძეს *** ყამირ სიტყვის მადლით ჰპოვებს	40
ტარიელ აბუაშვილს *** მოუკერებით და ალერსით	40
ანას *** ქვლავ მერცხალივით ჭიკჭიკა	41
*** ანას უყვარს	41
აკაკი ბიძინაშვილს *** კამაყობ კაცით	42
*** ხალხმრავალ ოჯახს უვლი და ბორგავ	42
გერონტი გოგინაშვილს *** ხომით ლებულობ კალვადოსს	44
ოთარ დევიძეს *** ყველას ოქროს ექხის	45

რეზო	ამაშუავლს	***სმა მომენატრა	45
გალიკო	დოლიაშვილს	***სამშვიდობო და საბრძოლო	46
ლადო	გარძელაშვილს	***მთავარსარდლობა ბედმა გარგუნა	47
ირინე	გარძიგულოვას	***თუ რამე მეთქმის	48
	***გიხაროვეს	ჩემი ირა	48
დავით	თევზაბეს	***ურნალისტები დაგდევენ	49
	***საქმე დიდი დაგაკისრეს	49
ზაურ	თეთრუაშვილს	***მეცნიერებას ძერწავ	50
ჯემაღ	ინჯაის	***ჯემაღ ინჯაი, კუცი დინჯა	52
	***ნაპერწკლებად	ისვრის ლექსებს	52
	„ცხენით სვლა“	53
ირინეს	***მოუთმენლად	გელოდნენ	54
	***გაუხარე გული ლელას	54
ნანა	კვარიანთაშვილს	***თავს ვიყავებთ	55
	„წარწერა საჩუქარზე“	55
შოთა	კიკოლაშვილს	***შენ, შენ ცხოვრებას ფურცლავ	56
გიორგი	ლეონიძეს	***არ ვვიწყებთ ვოგლას	56
რობერტ	მალლაგელიძეს	***აღარ ავალ სცენაზე	57
გურამ	მაჩაიძეს	***კაცურგაცობას რომ ჭედი	58
სოფიკო	მექაბაძეშვილს	„ზეწოლა“	59
მუხრან	მაჭავრიანს	***ლექსები მთუთქავს	60
გოგი	პაპიძეს	***პაპიძევ, გვითხარ მმობილო	61
ალბერტ	რატიშვილს	***შემოაკლდა ცას ფრინველი	61
ურან	საძაგლიშვილს	***ვისენებ	62
შერგილ	სუხიტაშვილს	***არც ჭადრაკი არის უცხო	63
	***შემოგრჩენია	ჭადრარა ბუჩქად	63
გალაკტიონ	ტაბიძეს	***უჯიბრები ლექსით	64
მარიამ	ტალაშვაძე-ლომნაშვილს	***შე მარიამს არ გიწოდებ	64
ვაჟა	შიუკაშვილს	***ცაც აღარ ყოფნის მეშვიდე	65
	„ლომი“	65
მიხეილ	ქვლივიძეს	***შენი ლექსების ლამაზ სმებს	66
ჯანსულ	ჩარკვიანს	***ლექსით ვოვრები	67
პაატა	ჩხეიძეს	***დღედაღმა იმის ცდაში ხარ	67
ზაზა	ჩხოვშვილს	***მაღლიანო, სვიაო	68
ზურა	ჩხეიძეს	***არ მოგეძლებოდეს ეგ ღიმილი	68
ვანო	ჩხილვაძეს	***გვხიბლავს ლექსებით	69
გია	ყარყარაშვილს	***თუკი არტილერია	69
მამუკა	ყურაშვილს	***შენი კაცობა და შემართება	70
დევი	ჭანკოტაძეს	***არწივივით დაპყურებ	70
	***ბევრ სიძნელეს	გაუძელი	71
რეზო	ჭანკოტაძეს	***ჩემო რეზო	72
გამტანგ	ჯავახაძეს	***აღულაბებს, პკრაგს კირის ქვით	72
დავით	ხმიადაშვილს	***ღმერთმა გარგუნა როული სამწევმსო	73
ეზოს	ბავშვებს	74
თბილისის	„დიანამოს“	ვეტერანებს	77



ვახტანგ ჭავჭავაძის მიერ გამოცემული ღიგნები:

- „ქსიარული რითმები“ (ორტაეპიანი კაფიები)
- „ლეგენდები“ (ისტორიული ამბები ლექსად)
- „ბედისწერა“ (სენტიმენტალური მოთხოვა)
- „მტევნის ნაჟური“ (ლექსები ციკლიდან „კახეთი“)
- „ტელეპათიური თავგადასავლები“ (დღიურის ტიპის ჩანაწერები ტელეპათიურ მოვლენებზე)
- „იხარეთ“ (საბავშვო ლექსები)
- „ქიბის 75 საფეხური“ (ლექსები)
- „და ვანთებ სანთელს“ – ხსოვნის წიგნი (სამ ნაწილად)
- „სითბო ჩემკენ და ჩემგან“ (მიძღვნილ-მოძღვნილი ლექსები)
- „ბოლო ვაგონის ლექსები“
- „გენერალი გორიდან“ (მონოგრაფია)